



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №33

2018 წლის 25 აპრილი

ქ. ბათუმი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, დასახლება კახაბერში მდებარე მიწის ნაკვეთის სერვიტუტით დატვირთვაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიას მოახდინოს ქ. ბათუმში, დასახლება კახაბერში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილის, კერძოდ 150,57 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 05.32.07.839) სერვიტუტით დატვირთვა მოქალაქე ნანული კონცელიძის სასარგებლოდ წარმოდგენილი აზომვითი ნახაზის შესაბამისად.
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



ნადიმ ვარშანიძე